

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი

01 ნოემბერი, 2013 წელი

გადაწყვეტილება №05-01/03

**ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ**

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების 71-ე მუხლისა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის 48-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 01 ნოემბრის №04-01/61 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1.1. წესდების მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

„3. მისიისა და მიზნების წარმატებით განხორციელებისათვის უნივერსიტეტში შესაძლებელია შეიქმნას სასწავლო ცენტრი“.

„4. სასწავლო ცენტრის დებულებას შეიმუშავებს აკადემიური საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს“.

1.2. წესდების 43-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 43. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.

2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

3. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო-შემოქმედებით პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.

4. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო-შემოქმედებით და კვლევით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

5. აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტი, ამ წესდებით დადგენილი წესით.“

1.3. წესდების 45-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 45. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები
უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. საშემსრულებლო მიმართულებით

ა) პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც კონკურსამდე დაკავებული ჰქონდა სრული ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა და აქვს უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ბ) ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც კონკურსამდე დაკავებული ჰქონდა პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობა და აქვს უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) ასისტენტ-პროფესორად 3 ან 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც ეწევა პედაგოგიურ და/ან აქტიურ საშემსრულებლო მოღვაწეობას და აქვს პროფესიული წარმატებები.

დ) „ასისტენტად 3 ან 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც ეწევა პედაგოგიურ და/ან აქტიურ საშემსრულებლო მოღვაწეობას“.

2. თეორიული მიმართულებით:

ა) პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ბ) ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) ასისტენტ-პროფესორად 3 ან 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

დ) ასისტენტად 3 ან 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი

თ. მეიშვილი